ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01181583317**

თარიღი: **07.06.2018**

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი

გივი მეტრეველი

პირადი ნომერი: 01008003285

მისამართი: თბილისი გ.ახვლედიანის ქ. N 11 ბ. 1

თქვენი 2017 წლის 18 სექტემბრის AR1541458 ელექტრონული განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბისა და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.10.18.011.065, 01.10.18.011.064, 01.10.18.011.010, 01.10.18.011.009) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცებას; გაცნობებთ, რომ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

ძირითადი მოთხოვნები და პირობები განაშენიანებასთან მიმართებაში

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქლაქო სამსახურის წერილის N18-01180954284 თანახმად, რამდენადაც, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა, რომელიც მოიცავს ხევებს და კოლექტორს, საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული სივრცით-გეგმარებითი გადაწყვეტები, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის შენარჩუნებით, საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის, რელიეფის თავისებურების, ბუნებრივი ლანდშაფტის, ხევების და კოლექტორის გათვალისიწინებით.

2. საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება, „სიტი ინსტიტუტი საქართველო; გარემოსდაცვითი არასამთავრობოების ქსელი CENN“-ის მიერ შემუშავებული გეოდინამიკური საფრთხეების ზონირების რუკის მიხედვით დადგენილ მაღალი და საშუალო საშიშროების არეალი. ამავე კვლევის თანახმად, მაღალი საშიშროების არეალი განიმარტება როგორც, „ტერიტორია, სადაც რელიეფი დახრილია (200-ზე მეტი) და ძლიერ დანაწევრებული, ამგები გრუნტები სხვადასხვა მზიდი თვისებებით გამოირჩევიან და ქანების წოლის ელემენტები ძირითადად თანხვედრილია ფერდობების დახრილობის მიმართულებებთან, წყალსადინარების ჭალა-კალაპოტის (მათ შორის დატბორვის) ზონები და გამოირჩევიან სტიქიური პროცესების მასშტაბური განვითარებით.“ ხოლო, საშუალო საშიშროების არეალი განიმარტება როგორც, ტერიტორია, სადაც რელიეფი ნაკლებად დახრილია და სუსტადაა დანაწევრებული, ამგები გრუნტები სხვადასხვა მზიდი თვისებებით გამოირჩევიან (მათ შორის ნაყარი გრუნტები), მიწისქვეშა წყლები შედარებით ახლოსაა ზედაპირთან, დატბორვებს იშვიათად აქვს ადგილი და სტიქიური პროცესები მასშტაბურ ხასიათს არ ატარებენ.

- საპროექტო ტერიტორიაზე გამოვლენილი გეოდინამიკური საფრთხეების შესაბამისად (იხ.დანართი 1) წარმოადგინეთ ბუნებრივი საფრთხეების ზონირების რუკა და განმარტეთ შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

- ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, წარმოადგინეთ სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიის ზონირების განახლებული რუკა.

3. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა (შემსრულებელი პასუხისმგებელი სპეციალისტების მიერ ხელმოწერილი, თარიღის მითითებით–სტანდარტულ ფორმატში: რიცხვი, თვე, წელი);

4. წარმოდგენილი საპროექტო ვიზუალიზაცია არ არის დამუშავებული რეალური სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათებზე; შესაბამისად, წარმოადგინეთ განახლებული ვიზუალიზაცია (სამგანზომილებიანი (3D) მაკეტი საპროექტო მოცულობების ჩვენებით) მიმდებარე ტერიტორიის კონტექსტში, ფოტომონტაჟები, განშლები, რომლებშიც ასახული იქნება ახალშენებლობის მთელი კომპლექსი, რათა კარგად გამოჩნდეს ახალი მოცულობების თავსებადობა არსებულ ლანდშაფტთან და ქალაქის სილუეტთან;

5. საპროექტო წინადადების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული ტერიტორიის შემოთავაზებული ინტენსივობით და ფუნქციებით განვითარების მიზანშეწონილობას და აღნიშნული ინტენსივობის და ფუნქციების ზეგავლენის პროგნოზს საკვლევ ტერიტორიაზე.

6. გრგ–ს არეალი მოიცავს დაურეგისტრირებელ ტერიტორიებს, ასევე საპროექტო საავტომობილო გზა კვეთს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნკავეთს (საკადასტრო კოდით 01.10.18.011.058). გამომდინარე აქედან წარმოადგინეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს

თანხმობა;

7. წარმოადგინეთ შესწორებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების გეგმა ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წერილის N 16-01181353374 შესაბამისად (იხ.დანართი).

8. გრგ ალბომში წარმოდგენილია ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება N4-13-ის მთლიანი რედაქცია. გაცნობებთ, რომ გრგ-ს სტანდარტში მოცემული პუნქტი „სამართლებრივი აქტი“ გულისხმობს იმ დოკუმენტის (განკარგულება/ბრძანება) წარმოდგენას და ასახვას გრგ-ს ალბომში, რომლითაც დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა/გეგმარებითი დავალება. შესაბამისად, გთხოვთ, ამოიღოთ გრგ ალბომიდან 4-13 გადაწყვეტილება.

9. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული რთული რელიეფიდან გამომდინარე, წარმოადგინეთ დეტალური ვერტიკალური გეგმარება. საპროექტო გზის დახრების პროცენტულობის მითითებით.

10. წარმოადგინეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ–"112" პოზიცია დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებასთან და წარმოდგენილ საპროექტო გადაწყვეტებთან დაკავშირებით.

11. წარმოადგინეთ გარჩევადი ტოპოგეოდეზიური რუკა, **PDF ფაილი, შესაბამისი რეზოლუციით.**

12. საინჟინრო ინფრასტრუქტურა

- წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელი გეგმა;
- ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელი გეგმა;
- ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელი რუკა;
- სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელი გეგმა;

შენიშვნა: წარმოდგენილ იქნეს არსებული და საპროექტო მონაცემები, სქემები საინჟინრო ინფრასტრუქტურის შესახებ. შესაბამისი უწყებებიდან თანდართული ოფიციალური წერილებით, სადაც დატანილი იქნება მათი ტრასა შესაბამისი პარამეტრების ცხრილით, დაერთების წერტილების ჩვენებითა და განვითარების პოტენციალით.

გრგ პროექტის დეტალური ხარვეზების დადგენა, ამ ეტაპზე, არ ხდება, ვინაიდან გამოსასწორებელია ძირითადი ხარვეზები, რაც დაკავშირებულია ალბომის შემადგენელი ნაწილების ძირითადი გეგმებისა და რუკების საფუძვლებთან.

გაითვალისწინეთ, რომ სრულყოფილი გრგ პროექტის წარმოდგენის შემდგომ საკითხი ასევე განსახილველად გადაიგზავნება ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურებში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით მე-9 მუხლის 5 პუნქტის თანახმად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01180954284**

თარიღი: **05.04.2018**

ადრესატი:
რუსუდან მირზიკაშვილი
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

ქალბატონო რუსუდან,

თქვენი ამა წლის 9 მარტის N 67-0118068356 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შემოსული ელექტრონული განცხადება ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, ლისის ტბისა და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.065, 01.10.18.011.064, 01.10.18.011.010, 01.10.18.011.009) ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცებას (AR1541458 18.09.2017). აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ნაწილს, რომელიც მოიცავს ხევებს და კოლექტორს. შესაბამისად, აღნიშნული მიწის ნაკვეთების განაშენიანება მიზანშეწონილი არ არის.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01181353374**

თარიღი: **15.05.2018**

ადრესატი:
რუსუდან მირზიკაშვილი
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

ქალბატონო რუსუდან,

თქვენი 2018 წლის 9 მარტის წერილის (67-0118068341) პასუხად, რომელიც შეეხება ლისის ტბის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.065; 01.10.18.011.064; 01.10.18.011.010; 01.10.18.011.009) ინდივიდუალური დაბალი ინტენსივობის და მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმას (AR1541458 18.09.2017), გაცნობებთ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცებისა შესახებ“ #14-39 დადგენილების მე-8 მუხლის 1^2-ლი პუნქტის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმის წინასაპროექტო კვლევა უნდა მოიცავდეს „საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემას საკვლევი (საჭიროების შემთხვევაში საპროექტო ტერიტოირიაზე) ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით (მათ შორის ნაკადების რაოდენობის მიმართულების მითითებით) და საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასებას არსებულ საკვლევ საგზაო ინფრასტრუქტურაზე.“ გარდა ამისა, ამავე მუხლის პუნქტი 1^1 განმარტავს, რომ „დაგეგმარებითი ამოცანებისათვის ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია განსაზღვროს დამატებითი მონაცემები წინასაპროექტო კვლევისადმი და ყველა ცალკეულ შემთხვევაში კვლევის არეალი, რომელიც შესაძლოა აღემატებოდეს საპროექტო არეალს.“

საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება მხოლოდ მაჭავარიანის ქუჩა, რომელიც თავისმხრივ ქალაქს უკავშირდება ბერიტაშვილისა და გოძიაშვილის ქუჩებით. აღნიშნული მოცულობისა და ფუნქციის (მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი) გათვალისწინებით პიკის საათში მოსალოდნელია სატრანსორტო ნაკადების ზრდა. ტერიტორიის ურბანული მახასიათებლიდან გამომდინარე (მდებარეობა, რელიეფი, ქუჩათა სისტემა) შეზღუდულია მაღალი ინტენსივობის განაშენიანებისათვის საჭირო ინტენსივობის საზ. ტრანსპორტის მიწოდების შესაძლებლობა. შესაბამისად, მიზანშეწონილია ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. წარმოდგენილი პროექტის საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შესაფასებლად, საკვლევი ტერიტორია უნდა მოიცავდეს იმ გზებსა და ძირითადი კვანძებს, რომელიც უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქთან სხვადასხვა მიმართულებით. კვლევის კომპონენტები და საკვლევი არეალი მოცემულია დანართში.

გარდა ამისა, წარმოსადგენია საპროექტო ტერიტორიის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

დანართი: 3 ფურცელი

პატივისცემით,

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

მამუკა მუმლაძე

N
W E
S
1:2,000

დანართი 1

	წინასაპროექტო კვლევა	საკვლევი ტერიტორია	განმარტება
1	**საკვლევი ტერიტორიის სატრანსპორტო შესწავლა**		ზეგავლენის შესაფასებლად საჭიროა არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა საკვლევი არეალის ფარგლებში
1.1.	*საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევა და სქემა*	*ქუჩები: მუხრან მაჭავარიანის, ელგუჯა ამაშუკელის.* *კვანძები: მაჭავარიანი-გოძიაშვილის, გოძიაშვილი-სარაჯიშვილის, მაჭავარიანი-გერიტაშვილის,ამაშუკელი-გესარიონ ჟღენტი.*	საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შესაფასებლად, საკვლევი ტერიტორია უნდა მოიცავდეს იმ გზებსა და ძირითადი კვანძებს, რომელიც უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქთან სხვადასხვა მიმართულებით, მიზიდვის ძირითადი წერტილებისაკენ.
1.2.	საქვეითე ინფრასტრუქტურის კვლევა და საქვეითე მისაწვდომობის რუკა	*მაჭავარიანისა და გერიტაშვილის ქუჩები უშალოდ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ უახლოვესი ავტობუსის გაჩერებების ჩათვლით*	საქვეითე და საზ. ტრანსპორტის მისაწვდომობის კვლევის არეალი მოიცავს საპროექტო ტერიტორიის უშუალოდ მიმდებარე ქუჩებს: საქვეითე ინფრასქტრუქტურის შესაწვლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე მისაწვდომობისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების დასაგენად. ასევე, მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა. ტრანსპორტზე მისაწვდომობის კვლევა საჭიროა საზ. ტრანსპორტზე ზემოქმედების განსასაზღვრად და საზ. ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესების დასაგეგმად.
1.3.	საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის კვლევა და რუკა		
2	**ინფორმაცია პროექტზე**		
2.1.	საპროექტო ტერიტორიის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი ფუნქციების მიხედვით		ეს მონაცემი საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების დაახლოებითი რაოდენობის დასადგენად.
2.2.	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში მაცხოვრებელთა და		ამ მონაცემის საფუძველზე დადგინდება ახალი გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა.

	ვიზიტორების		
3.	**საპროექტო ტერიტორიის გენერირებული/მიზიდული (საპროგნოზო) მგზავრობები**		
3.1.	საპროექტო ტერიტორიაზე გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა		
3.2	მგზავრობების მოდალური განაწილება		მოდალური განაწილება - გადაადგილების სხვადასხვა საშუალებების წილი მგზავრობების საერთო რაოდენობაში - მანქანა, საზ. ტრანსპორტი, ქვეითი, ტაქსი, ველოსიპედი. ამ მონაცემის განსაზღვრა საჭიროა, იმის დასადგენად, რა ზემოქმედება ექნება დაგეგმილ პროექტს სამანქანო ნაკადებზე; ასევე საზ. ტრანსპორტის მიწოდების დასაგეგმად და საქვეითე ინფრასქტრუქტურის მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმისათვის რომ დიდი მასშტაბის განაშენიანებას არ ჰქონდეს უარყოფითი სატრანსპორტო შედეგები, საჭიროა ღონისძიებების დაგეგმვა, მოდალურ განაწილებაში სამანქანო გადაადგილების წილის შემცირების მიზნით.
3.3.	მგზავრობების სივრცითი განაწილება		ამ მონაცემით განისაზღვრება, რომელ გზებზე და კვანძებზე იქნება ზეგავლენა; საზ. ტრანსპორტის რომელ მიამრთულებაზე/ხაზებზე იქნება მომსახურების გაუმჯობესება საჭირო; სად იქნება საჭირო საფეხმავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
4	**ახალი გენერირებული მგზავრობების ზეგავლენის შეფასება**		
	• გზათა ქსელზე (მათ შორის ძირითად კვანძებზე); • საზოგადოებრივ ტრანსპორტზე; • საქვეითე ინფრასქტრუქტურაზე (ქვეითთა გადასასვლელების გათვალისწინებით)		კვლევის წინა კომპონენტებიდან გამომდინარე საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების ზეგავლენის შეფასება ტრანსპორტზე და ტრანსპორტის ცალკეულ სახეობებზე.
5	**რეკომენდაციები**		ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ის

			ღონისძიებები, რაც საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების მომავალი მაცხოვრებლების, თანამშრომლებისა და ვიზიტორების ტრანსპორტით უზურუნველყოფისა და მოდალურ განაწილებაში მანქანის როლის შესამცირებლად.
6	**გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები**		კვლევის ტექსტურ ნაწილში მითითებული უნდა იყოს კვლევის და ანილიზისას გამოყენებული სტანდარტები და მეთოდოლოგია და შესაბამისი ლიტერატურა.

თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

http://tbilisi.gov.ge/page/3218